

ქართული ორთოგრაფიულ ჩვევათა ფორმირება ქართული ენის
სწავლებისას არაქართულ სკოლაში

თამთა კუპრაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის
საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (საგნობრივი მიმართულება -
ქართული ენა და ლიტერატურა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა მალაქელიძე, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

თამთა კუპრაძე

აბსტრაქტი

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, აქ საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. დღეისათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 13 %-ს შეადგენენ სომხები და აზერბაიჯანელები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არიან კომპაქტურად დასახლებულნი. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციის პრობლემის გადაჭრა, რისი მთავარი წინაპირობაც სახელმწიფო ენის სწავლებაა.

ბოლო წლების განმავლობაში არაქართველთათვის სახელმწიფო ენის შესასწავლად მრავალი პროგრამა განხორციელდა, თუმცა პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება. საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენაზე განათლების მიღება, რაც შეუძლებელია ძირითადი ორთოგრაფიული ჩვევების არქონის შემთხვევაში.

სამაგისტრო ნაშრომი „ორთოგრაფიულ ჩვევათა ფორმირება ქართული ენის სწავლებისას არაქართულ სკოლაში“ ეხება აზერბაიჯანელთათვის ძირითადი ორთოგრაფიული პრობლემებისა და მისი გამომწვევი მიზეზების ძიებას. მდგომარეობის შესაფასებლად კვლევა ჩატარდა აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეებთან და ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტებთან. ნაშრომში წარმოდგენილია სწორედ ამ კვლევის შედეგები.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებაში გაწეული დახმარებისა და გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის მადლობას ვუხდით ჩემი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, პროფესორ ნათელა მაღლაკელიძეს.